



MES 9 20 0001074604



06/11/2020

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ.თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნატალია შანიძე** - შპს „ათასწლეულის სკოლის“ მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი - საბჭოს მდივანი;
4. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე;
5. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
6. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი;
7. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის - თბილისის“ აკადემიური დირექტორი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;
8. **გრიგოლ მურღულია** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე;
9. **ირმა ბარბაქაძე** - შპს „ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.
10. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს სკოლა ეისი

სკოლის დირექტორი - მარინა ტლაშაძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნათია ტლაშაძე

შპს მეგასკოლა

სკოლის დირექტორი - მაყვალა გოგიტიძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - ანა ლორია
სკოლის წარმომადგენელი - ელენე კალანდაძე

შპს ბათუმის მომავლის სკოლა

სკოლის დირექტორი - ცირა კასრაძე

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს სკოლა ეისი

ქეთევან ბაცანკალაშვილი
მარიამ ხუციშვილი

შპს მეგასკოლა

ხათუნა ბარაბაძე
ლალი აბდალაძე

შპს ბათუმის მომავლის სკოლა

ირინა დვალი
თამარ მიდელაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით

მაღაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდება ონლაინ რეჟიმში.

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით) 2020 წლის 23 ოქტომბერს 16:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს სკოლა ეისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს მეგასკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ბათუმის მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა იქნა წარდგენილი ექსპერტ ხათუნა ბარაბაძის მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის საკითხის განხილვა რიგით იყო მეორე, შუამდგომლობა იქნა წარმოდგენილი აღნიშნული საკითხი განხილულიყო პირველ საკითხად. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. შპს მეგასკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სკოლა ეისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ბათუმის მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1. შპს მეგასკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და ლალი აბდალამემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტ ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, ვიზიტი სკოლაში განხორციელდა 2020 წლის 2, 3 და 4 სექტემბერს, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში, მოსწავლეებისთვის კომფორტული და კეთილგანწყობილი გარემო იყო შექმნილი. თუმცა, ვიზიტის პერიოდში სკოლის გარემო სრულად არ იყო ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, ვინაიდან არ იყო დასრულებული ლიფტის დამონტაჟება. ექსპერტის განმარტებით, სკოლის ადმინისტრაციამ ვიზიტის პერიოდშივე წარმოადგინა შესაბამისი ხელშეკრულება, რითიც დასტურდებოდა სამუშაოების დასრულების თარიღი, ხოლო ლიფტის მონტაჟის დასრულების დამადასტურებელი ვიდეო ფაილი, სერთიფიკატი და რეგისტრაციაში გატარების დამადასტურებელი საბუთი, დაწესებულებამ, ექსპერტთა დასკვნაზე არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გადმოაგზავნა ცენტრში.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას ჰქონდა ორი მისამართი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 901 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 2322.3 კვ.მ შენობა/ნაგებობა (ოთხი სართული). სევასტოპოლისა და ჩაიკოვსკის ქუჩების კვეთაზე მდებარეობდა, მესაკუთრე შპს მეგასკოლა იყო (ს/კ 445484146). ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის შენობა დატვირთული იყო იპოთეკით.

შემდეგ, ექსპერტმა ისაუბრა სკოლის ექიმის და სამედიცინო კაბინეტის შესახებ. მან აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ექიმი და ექთანი, სკოლაში იყო სათანადოდ აღჭურვილი ექიმის კაბინეტი. სკოლის ექიმის ფუნქციები და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მექანიზმები გაწერილი იყო შპს „მეგასკოლის“ შინაგანაწესში და „მეგასკოლის“ დირექტორის ბრძანება #01/63 03 სექტემბერი 2020 წლის სამედიცინო კაბინეტის დებულებაში. ექსპერტის თქმით, ექიმმა ვერ წარმოადგინა გაცემული მედიკამენტებისა და მოსწავლეთა/მასწავლებელთა მიერ ავადობების/ჩივილების მიმართვიანობის აღრიცხვის ჟურნალი, არ ჰქონდა თავმოყრილი კლასების მიხედვით მოსწავლეთა სპეციფიური საჭიროებების, აცრების ამსახველი დოკუმენტაცია (ისტორიები), ექიმმა ასევე ვერ წარმოადგინა სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგისა და კონტროლის ამსახველი მასალა. ექსპერტის განცხადებით.

1.2. ექსპერტის თქმით, სკოლაში ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ტრენინგი ახალი სკოლის მოდელთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობდა კომპლექსური დავალებების ახლებურად წარმოდგენას, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ სკოლა ზრუნავდა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე.

ამის შემდეგ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს, სურდათ თუ არა კომენტარის გაკეთება აღნიშნულთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლის ექიმმა, ვინაიდან ვერ ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას, საჭიროდ ჩათვალა, საკუთარი განცხადების საფუძველზე, სამსახურის დატოვება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, რა ტიპის დავალებები ტარდებოდა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთათვის, რა სახის დავალებებს ასრულებდნენ მოსწავლეები, თუ ეს არ იყო კომპლექსური ხასიათის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა ხარისხის განვითარების მიმართულებით გარკვეული სტანდარტები შემუშავებული, მაგრამ ხარისხის განვითარების ერთიანი პოლიტიკა სკოლას არ ჰქონდა. სკოლის წარმომადგენელმა მადლობა მოახსენა ექსპერტებს, საქმიანი რეკომენდაციებისთვის და დასძინა რომ სრულად გაითვალისწინებდნენ ექსპერტებისგან მიღებულ რჩევებს.

ექსპერტ ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, სკოლის მესვეურნი იყვნენ ძალიან მონდომებულები, ის რეკომენდაციები რომლებიც მიეცა სკოლას, ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ დაუზარელად შეასრულა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 550 მოსწავლისთვის.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტებიც.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს მეგა სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მეგა სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 550 - ით განსაზღვრის საკითხი. საბჭომ ასევე დასძინა, რომ შპს მეგა სკოლის გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2020 წლის 23 ოქტომბრიდან.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს მეგა სკოლას (ს/კ:445484146) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 550 - ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 23 ოქტომბერს.

16:30 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა არჩილ სუმბაძემ.

2. შპს სკოლა ეისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა და მარიან ხუციშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1. ექსპერტის განცხადებით, ავტორიზაციის პროცედურა განხორციელდა 2020 წლის 24 და 25 სექტემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დისტანციურად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული დიდი გამოწვევა იყო და ექსპერტთა ჯგუფი მაქსიმალურად შეეცადა ამომწურავი ინფორმაცია მიეღოთ სკოლიდან.

ექსპერტის განცხადებით, დასკვნა მთლიანად იყო დადებითი, არცერთ ნაწილში არ დაფიქსირებულა ხარვეზი. მან აღნიშნა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა 140 მოსწავლის ზღვრული კონტიგენტით, ხოლო ახალ განაცხადში დაწესებულება ითხოვდა 150 მოსწავლეს. ექსპერტთა აზრით, დაწესებულება თავისი საგანმანათლებლო პროგრამებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ადამიანური რესურსებით აკმაყოფილებდა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხადა დამსწრე პირებს. მან აღნიშნა, რომ განსაკუთრებულ ვითარებაში მოუწიათ ამ რთული პროცედურის გავლა. მისი თქმით, წინა ვიზიტებმა და გაცემულმა რჩევებმა დიდი გამოცდილება შესძინა დაწესებულებას, სკოლის განვითარების პროცესში უკეთესი შედეგი მისაღებად.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 150 მოსწავლისთვის.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს სკოლა ეისისშესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ეისისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სკოლა ეისს (ს/კ 417885649) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით.

3. შპს ბათუმის მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ირინა დვალმა და თამარ მიდელაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს ბათუმის მომავლის სკოლა მდებარეობდა ქ. ბათუმში, ჰ. აბაშიძის ქ. №49-ში, სამსართულიან შენობაში, რომელიც სკოლას იჯარით ჰქონდა აღებული 4 ფიზიკური პირისგან-მეიჯარისგან 6 წლის ვადით. სკოლის შენობაში 20 საკლასო ოთახი იყო, გარდა ამისა, სამასწავლებლო, 2 ოთახი დირექციისთვის, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, მოსასვენებელი ოთახი, ექიმის ოთახი. საკლასო ოთახებში განლაგებული იყო ასაკის შესაბამისი მერხები და სკამები, მასწავლებლის მაგიდეები სკამებით, დაფები, თაროები. ექსპერტის თქმით, სკოლის შენობაში პირველ სართულზე მდებარეობდა სპორტული დარბაზი, 32 კვ.მ. რომელშიც იდგა ჩოგბურთის მაგიდა, მაგიდეები ჭადრაკისთვის, სკოლას ასევე ჰქონდა ეზო, რომლის ერთ ნაწილში მწვანესაფარიანი მოედანი იყო ფრენბურთისა და კალათბურთის ინვენტარით.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულება მდებარეობდა გზის პირას, გამომდინარე აქედან, კამერები სრულად აკონტროლებდა მთელ ტერიტორიას.

ამის შემდეგ ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, თუმცა, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაკეთებულიყო ახალი უფრო ფართე ადაპტირებული სველი წერტილი შესაბამისი შესასვლელი კარით, მისი თქმით, შენობა ამის საშუალებას იძლეოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მოცემული ხარვეზები შპს ბათუმის მომავლის სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი განხდარიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9


წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბათუმის მომავლის სკოლის (ს/კ445412107) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შედეგად სხდომა 17:15 საათზე დახურულად გამოცხადდა.

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შანიძე ნატალია

